განმარტებითი ბარათი

საპროექტო შენობა მდებარეობს დიდუბე-ჩურურეთის რ-ში, სოხუმის ქ. #4-6ა-ში.(ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.13.06.015.012) წერეთლის ქუჩასა და ევდოშვილის ქუჩას შორის, რომელიც წარმოადგენს #986398 13.11.13წ. ბრძანებით შეთანხმებულ ა. წერეთლის გამზირზე, სოხუმის ,ევდოშვილის და ვ. ბაგრატიონის ქუჩებს შორის არსებულ კვარტალში მრავალფუნქციური საზოგადოებრივი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების კორექტირებულ გეგმის შემადგენელ ნაწილს. მას აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება სოხუმის ქუჩა, დანარჩენი სამი მხრიდან კი მომიჯნავე მიწის ნაკვეთები.

ახალი კორექტირებით მშენებარე ობიექტს "ა" ბლოკში რომლის კარკასიც დამთავრებულია 46.95 ნიშნულზე 11-14 და დ-ზ ღერძების კვეთაში, ვინაიდან არის რეზერვი განაშენიანების ინტესივობის 121.7 კვ/მფართობის დამატების დაემატება საცხოვრებელი სამი ბინა №46ა; №47ა და №48ა, ფართით 111.2 კვ.მ, და საზაფხულო ფართი 79.6კვ/მ ხოლო I სართულის "ა" ბლოკში - #2; #3; #4; #6; #7; "ბ" ბლოკში - #10 და #11' "გ" ბლოკში - #17; #18; #19; #20; #21; და #22 კომერციულ ფართებში დამკვეთის მოთხოვნით მოეწყობა ანტრესოლი სადაც განთავსებული იქნება კომერციული ფართი რომლის ფართობი იქნება 508.7კვ.მ. ასევე ცვლილება მოხდება ავტოსადგომის ფართში კონკრეტულად ავტოსადგომის ჩასასვლელში 4-5-10-11 და ბ-გ ღერძების კვეთაში უწყობა დამატებითი შესასვლელი კარები რის ხარჯზეც უქმდება შიდა პანდუსები 4-6-9-11 და გ-დ ღერძების კვეთაში და ეწყობა ოთხი ავტოსადგომი . ვინაიდან ავტოსადგომში -3.55 ნიშნულზე ამოვიდა გრუნტის წყლები მოგვიწია ნიშნულის აწევა -2.95 -ზე "გ" ბლოკის 1-6 და ზ-კ ღერძების კვეთაში უკანა ეზოს მხარეს და წინა მხარეს ანუ სოხუმის ქ. მხარეს სამივე ბლოკში სადაც ავტოსადგომი გადის შენობის გარედ. 1-14 და ა-გ ღერძების კვეთაში.

გარდა ზემოთაღნიშნულისა მოგახსენებთ, რომ თქვენს მიერ გაცემულ ბრძანება #1070541 09.01.2014 ჩვენს მიერ დაშვებული იქნა გარკვეული სახის ხარვეზები ფართების დათვლაში კერძოდ, I სართულის გეგმაში ექსპლიკაციაში მითითებული კომერციული ფართის ჯამი არ ემთხვევა ექსპლიკაციაში მითითებულ ფართს, აგრეთვე არასრული სართულის ფართების ჯამი არ ემთხვევა ექსპლიკაციაში მითითებულ ფართს. და II სართულიდან XV სართულის ჩათვლით საცხოვრებელი ბინების ჯამური ფართი არ ემთხვევა ექსპლიკაციაში მითითებულ ფართს. გამომდინარე აქედან შეიცვლება კომერციული ფართობის; საცხოვრებელი ფართობის ; დამხმარე ფართობის და თავისთავად საერთო ფართობის ჯამები.

მთ. არქიტექტორი : ჯ. საჯაია